ინგა ინასარიძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აშშ-ის ფაქტორი რეგიონული გავლენისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებაში

აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთში, სადაც არაერთი სახელმწიფო ისწრაფვის გავლენისთვის, რეგიონული დომინანტობისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ უთანხმოებას რამდენიმე საკვანძო მიზეზი გააჩნია. ისტორიულად კონფესიური და იდეოლოგიური სხვაობის გარდა, ამ ურთიერობის დინამიკას და შესაბამისად, რეგიონში ძალთა ბალანსს განსაზღვრავს კიდევ ერთი ფაქტორი - აშშ და მის პოლიტიკა როგორც ორივე აქტორთან, ისე ზოგადად რეგიონთან მიმართებაში. ირან-საუდის არაბეთის წინააღმდეგობა სათავეს 1979 წლიდან იღებს, როდესაც ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად, გაჩნდა ახალი, მტრულად განწყობილი სახელმწიფო და რეგიონში შეიცვალა არსებული სტატუს-კვო. თუმცა, ქვეყნებს შორის რეგიონის ლიდერობისთვის დაპირისპირება უკავშირდება 2003 წელს, როდესაც ერაყში რეჟიმის ცვლილების შემდეგ, ირანმა დაიწყო პოზიციების გაფართოება რეგიონში. შესაბამისად, სტატია მიმოიხილვას 2003 წლიდან დღემდე, აშშ-ის ცალკეული ადმინისტრაციის პირობებში აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებს და ირანთან დაკავშირებით გატარებულ პოლიტიკურ კურსს, რაც შემდგომ დიდწილად აისახებოდა რეგიონული გავლენისთვის ერ-რიადისა და თეირანის კონკურენციაზე. ორი ათწლეულების განმავლობაში ახლო აღმოსაველთში ბუშის, ობამას, ტრამპისა და ბაიდენის ადმინიტრაციების ცვლად მიდგომებს მოკავშირე ერ-რიადთან, თუ მოწინააღმდეგ თეირათან მიმართებაში, შესაბამისი შედეგები მოჰყვებოდა რეგიონში ძალთა ბალანსის გადანაწლების მხრივ.

საკვანძო სიტყვები: *აშშ, ირანი, საუდის არაბეთი, ახლო აღმოსავლეთი, ძალთა ბალანსი*

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანსა და საუდის არაბეთს შორის დაწყებულმა კონკურენციამ რეგიონული დომინანტობისთვის ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიტანა ახლო აღმოსავლეთში. ორ ქვეყანას შორის უთანხმოებას ხსნიან 3 ძირითადი მახასიათებლით: რეგიონში უპირატესობისა და გალენებისთვის კონკურენცია; ისლამის შიგნით საუკუნეების წინანდელი წინააღმდეგობა შიიტებსა და სუნიტებს შორის; და პოლიტიკური

ფაქტორი, რომელშიც რელიგია გამოყენებულია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რამაც საბოლოოდ მიიღო დაპირისპირების ფორმა.[1]

შიიტური ირანისა და სუნიტური საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის გატარებას და გავლენის ხარისხს მესამე ქვეყნებზე მნიშვნელოვანად განსაზღვრავს რელიგიური, ეთნიკური, იდეოლოგიური ელემენტები, რომლებსაც ორივე მათგანი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მთავრობასთან თუ ჯგუფებთან ურთიერთობისას. აღსანიშნავია, რომ მათ არასდროს ჰქონიათ ერთმანეთთან ღია სამხედრო კონფრონტაცია. იმის გამო, რომ ეს უთანხმოება სცდებოდა ამ ორ ქვეყანას და როგორც წესი, აისახება მესამე ქვეყნებზე, ხშირად მათ ურთიერთობას ე.წ. „პროქსი ომსაც“ უწოდებენ.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს რეგიონში ამ ორი აქტორის სიძლიერეს და შესაბამისად, ძალთა ბალანსში ერთ-ერთის უპირატესობას. ამ ფაქტორს წარმოადგენს აშშ და მისი სტრატეგია რეგიონთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის და საუდის არაბეთის პარტნიორობა თითქმის 80 წელს ითვლის, ეს ურთიერთობა, ისევე როგორც აშშ-ირანის ურთიერთობები, ხასიათდება ციკლურობით. რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ადმინისტრაციების ცვადი პოლიტიკური კურსი, როგორც წესი, პირდაპირ აისახებოდა რეგიონული გავლენისთვის საუდის არაბეთისა და ირანის კონკურენციაზე. სტატია შეეხება 2003 წლიდან დღემდე რეგიონული დომინანტობისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებაზე აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციის პოლიტიკის გავლენას. აღნიშნული თარიღი ითვლება მეტოქეებს შორის დაპირისპირების საწყისად. ერთის მხრივ საუდის არაბეთთან და მეორეს მხრივ ირანთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმოხილვით, მოხდება საერთო სურათის ჩვენება, თუ რა გავლენა ჰქონდა ბუშის, ობამას, ტრამპისა და ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირების დინამიკასა და ძალთა ბალანსზე.

საერთაშორისო პოლიტიკისა და რეგიონის მკვლევართა შორის არსებობს შეფასება, რომ ეს დაპირისპირება, რეალურად, წარმოადგენს ირანსა და აშშ-ს შორის უთანხმოებას, სადაც საუდის არაბეთი მხოლოდ ინსტრუმენტია. თუმცა, საუდის არაბეთის გავლენის უგულვებელყოფა, როგორც რეგიონული აქტორის, შეუძლებელია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული აშშ-თან პარტნიორობასთან. შესაბამისად, როგორც მათ ურთიერთობაზე, ისე ირან-საუდის არაბეთის მეტოქეობის დინამიკაზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა აშშ-ის ცალკეული ადმინისტრაციების პოლიტიკური ხედვები.

ცვლადი დინამიკის გასაგებად საჭიროა სამივე სახელმწიფოს ორმხრივი ურთიერთობების, რეგიონის და გეოპოლიტიკური გარემოებების გათვალისწინება. საუდის არაბეთისა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა 1943 წლიდან იწყება, ამ თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესი და დანიშნულება გააჩნდა. ამ მოკავშირეობას ხშირად მკვლევარები აფასებენ „ნავთობი უსაფრთხოების სანაცვლოდ“ ფორმულირებით. ამერიკისთვის საუდის არაბეთი წარმოადგენდა და

[1] Simon Mebon, The Struggle for Supremacy in the Middle East, Saudi Arabia and Iran (Cambridge University Press, 2023), 2-5.

დღემდე რჩება მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ ახლო აღმოსავლეთსა და ისლამურ სამყაროში. თავის მხრივ, არაბული სამეფოსთვის აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც რეგიონულ ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ვაშინგტონის მხარდაჭერის გარეშე მოქმედი ალ-საუდების გვარის ყოფნა ქვეყნის სათავეში და სამეფოს პოზიცია ზოგადად რეგიონში, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო.[2]

გარდამტეხ მომენტამდე ირანის შაჰი და საუდის არაბეთის მეფე წარმოადგენენ მოკავშირეებს და აშშ-ის ფუნდამენტურ პარტნიორებს ახლო აღმოსავლეთში, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად. თუმცა, 1979 წელს ირანის ისლამურმა რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა რეგიონში ვითარება. გაჩნდა ახალი იდეოლოგიური ძალა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირე აშშ-ის მიმართ. შაჰის ჩამოგდებით ვაშინგტონმა დაკარგა მნიშვნელოვანი საყრდენი რეგიონში, ამიტომ აქცენტი სრულად გაკეთდა არაბულ მონარქიებთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე. შედეგად, 1980-იან წლებში საუდის არაბეთისა და ამერიკის თანამშრომლობა კიდევ უფრო გამყარდა.[3] ამას ადასტურებდა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ახალი დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა ამერიკის ინტერესების დაცვას სპარსეთის ყურის რეგიონში, მათ შორის სამხედრო ძალითაც.[4] ამავე პოლიტიკის ნაწილი იყო 1981 წელს „სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ (GCC) დაარსება საუდის არაბეთის, ომანის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, კატარის, ბაჰრეინისა და ქუვეითის მიერ. ეს იყო ერთგვარი ინსტრუმენტი საუდის არაბეთისთვის რეგიონიული გავლენისთვის.[5]

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთში ახალი რეალობის ჩამოყალიბებაში. 2001-2009 წლების განმავლობაში მიღებულმა ზომებმა და ახალმა სტრატეგიამ რეგიონში სერიოზული ბზარი გააჩინა აშშ-სა და საუდის არაბეთს შორის. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი შეიძლება ჩაითვალოს გარდამტეხ მომენტად არაბულ ქვეყნებთან აშშ-ის პოლიტიკაში, და მათ შორის საუდის არაბეთთან მოკავშირეობაში. ჩამოყალიბდა 2 ბანაკი: აშშ-ის მოკავშირეები და მოწინააღმდეგეები - ე.წ. „ბოროტების ღერძი“,[6] რომელშიც შედიოდა ირანი და ერაყი. საუდის არაბეთი აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში, რადგან აშშ-ის ცალკეული გადაწყვეტილებები და მოქმედებები ეწინააღმდეგებოდა მათ

---

[2] David Hernandez Martinez, “The United States and Saudi Arabia alliance in the 21th century: The presidency of George Bush, Barack Obama and Donald Trump,” Journal of the Spanish Institute for Strategic Studies 15 (2020): 211-212.

[3] გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია და ნანი გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი), (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011), 308-310.

[4] Martinez, “The United States,” 215.

[5] “EBSCO” last modified: 2023. “Saudi Arabia Establishes Gulf Cooperation Council”. Assessed August 1, 2025
https://www.ebsco.com/research-starters/history/saudi-arabia-establishes-gulf-cooperation-council?utm_source=chatgpt.com.

[6] William O. Beeman, The “great Satan” vs. The “Mad Mullahs”: How the United States and Iran Demonize Each Other (Westport: Praeger Publisher, 2005), 148-150.

რეგიონულ მიზანს და ასუსტებდა მის როგორც არაბული და ისლამური სამყაროს ლიდერის სტატუსს. საუდელებს ერთის მხრივ მხარი უნდა დაეჭირათ სტრატეგიული მოკავშირის პოლიტიკისთვის და მეორეს მხრივ შეენარჩუნებინათ ლეგიტიმაცია ისლამურ სამყაროსა და არაბულ საზოგადოებაში.[7]

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გახდა აშშ-ის პრიორიტეტი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ტერორისტულ ქსელებში საუდის არაბეთის მოქალაქეების გაწევრიანებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამეფოს საგარეო იმიჯი და ნდობა დასავლელ პარტნიორებში. უშუალოდ ტერაქტში ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის გარდა, ისლამური თემების, მეჩეთებისა და მედრესეების დაფინანსება უკმაყოფილებას იწვევდა ვაშინგტონში. აშშ ცდილობდა დაერწმუნებინა სამეფო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და საეჭვო უჯრედებთან თანამშრომლობის გაწყვეტის აუცილებლობაში. პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ვაჰაბიზმი იქცა მთავარ მამოძრავებელ იდეოლოგიად რადიკალური ელემენტებისთვის. ვაჰაბიზმი კი წარმოადგენდა სამეფოს ოფიციალურ იდეოლოგიას. საუდის არაბეთის მოქმედი ხელისუფლება აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში, ერთის მხრივ ისინი ვერ ჩამოშორდებოდნენ ვაჰაბიზმს, რადგან ეს იყო საკვანძო ელემენტი მათი ხელისუფლების ლეგიტიმაციის. მეორე მხრივ, აუცილებელი იყო ისტორიულ მოკავშირესთან, აშშ-თან პოლიტიკური თანხვედრა, რათა სამეფო ოჯახს შეენარჩუნებინა საერთაშორისო მხარდაჭერა.[8]

პარტნიორების პოზიციები კიდევ უფრო დააშორა ერაყში ამერიკის ინტერვენციის საკითხმა. საუდის არაბეთი არ უჭერდა მხარს აშშ-ის მოქმედებას სადამ ჰუსიენის წინააღმდეგ, რადგან ხედავდა ირანის გაძლიერების საფრთხეს.[9] ჰუსეინის რეჟიმის დამხობისა და ერაყის ფაქტორის გაქრობა ირანს აძლევდა რეგიონში გაძლიერების საშუალებას. გარდა ამისა, ამერიკული კამპანიისთვის ღია მხარდაჭერის გამოცხადება დააზიანებდა სამეფოს იმიჯს ისლამურ თემში.

პარალელურად, მკაცრდებოდა აშშ-ის მიდგომა ირანის მიმართაც. სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა ირანის ბირთვული პროგრამა. 2003 წელს ვაშინგტონმა თეირანი დაადანაშაულა ბირთვულ იარაღზე მუშაობაში, მაშინ როცა შიიტური რეჟიმის მტკიცებით, მათი სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ბრალდებებს 2006 წელს ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება მოჰყვა. თავდაპირველად, აშშ-ის სანქციები მოიცავდა ირანის ენერგო სექტორს, რასაც მოჰყვა საბანკო-საფინანსო და სატრანზიტო სფეროებიც. თავის მხრივ, ირანი ვაშინგტონს ადანაშაულებდა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებში. 2008 წელს ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადიმ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი წარმოადგენდა ამერიკის

[7] Martinez, "The United States," 217.

[8] Fawz Al-Qahtani, "Continuity and changes in United States' Foreign policy towards Gulf region after the events of September 11th" 2001. A Comparative vision between the Bush and Obama Administrations", Review of Economics and Political science Vol 4 (2019), accessed August 1, 2025, doi: 10.1108/REPS-10-2018-006.

[9] Bruce Riedel, Kings and Presidents, Saudi Arabia and United States since FDR (Washington: Brookings Institution Press, 2018), 146-147.

საბაბს ავღანეთსა და ერაყში შეჭრისთვის.[10] აშშ-ირანის დაპირისპირების მიუხედავად, თეირანი ეტაპობრივად აძლიერებდა საკუთარ პოზიციებს ერაყსა და ლიბანში.

აშშ-ის ხელისუფლებაში დემოკრატი ბარაკ ობამას მოსვლამ და მისი ადმინისტრაციის პოლიტიკამ მორიგი გარდატეხა შეიტანა ირან-საუდის არაბეთის რეგიონულ კონკურენციაში. საუდის არაბეთი ნაკლებად ენდობოდა მოკავშირე ამერიკას, ერაყისა და ირანთან მიმართებაში განსხვავებული მიდგომების გამო. თავის მხრივ ვაშინგტონში საუდელები ასოცირდებოდნენ ჯიჰადისტურ მოძრაობასთან. ადმინისტრაციის ცვლილებას მეფე აბდულა იმედით უყურებდა, რადგან ობამამ თავიდანვე აქცენტი აიღო მისი წინამორბედისგან განსხვავებულ მიდგომებზე, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლაში, განაცხადა ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ. დიპლომატიის ფოკუსი თანდათანობით გადადიოდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე. თუმცა, ვითარების დინამიკაზე გავლენა იქონია „არაბული გაზაფხულის“ დაწყებამ. საპროტესტო გამოსვლები სირიაში შესაძლებლობა იყო ირანის მოკავშირე ასადის მთავრობის დასასრულებლად, ამიტომ საუდის არაბეთმა დაიწყო სირიელი ამბოხებულების დახმარება. 2013 წელს საუდელი სასულიერო პირები ღიად მოუწოდებდნენ მუსლიმებს, მხარი დაეჭირათ ირანისა და „ჰეზბოლას“ მოკავშირე ასადის მთავრობის წინააღმდეგ მიმდინარე რევოლუციისთვის. ამერიკელები ნაკლებად იზიარებდნენ საუდელების ენთუზიაზმს აღნიშნულ კამპანიაში, ამიტომ მათი მხარდაჭერა შეზღუდული და ინერტული იყო.[11] საუდის არაბეთთან დაკავშირებით ობამა ფაქტიურად დადგა იმავე პოზიციაზე, რაც ბუშის ადმინისტრაციას ჰქონდა. ობამა ცდილობდა არაბულ მონარქიასთან ურთიერთობა შეენარჩუნებინა, თუმცა ისე, რომ არ შეზღუდულიყო პარტნიორის ინტერესების გამო. თავის მხრივ საუდელებისთვისაც ამერიკელების პოლიტიკა გაუგებარი და მიუღებელი იყო. განსაკუთრებით ირანთან მიღწეული „ბირთვული შეთანხმებასთან“ დაკავშირებით.[12]

განსხვავებული მიდგომა აირჩია ობამამ ირანთან მიმართებაში. რეგიონში ვითარების მორიგი ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით აქცენტი გაკეთდა ირანის დიპლომატიური გზით შეკავების სტრატეგიაზე. 2015 წელს ირანმა და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა - აშშ-მა, ჩინეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიასა და ევროკავშირთან ერთად, გააფორმეს „ბირთვული შეთანხმება“ (JCPOA).[13] ოფიციალურ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა თითქმის 2 წლიანი საიდუმლო მოლაპარკებები ირანისა და აშშ-ის წარმომადგენლებს შორის, რომელსაც ომანი მასპინძლობდა. ბირთვული შეთანხმების მიღწევით განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო საუდის არაბეთი, რომელიც ფიქრობდა, რომ სანქციების მოხსნა და ირანის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა შიიტური რეჟიმის გაძლიერებას გამოიწვევდა. ერ-რიადი,

---

[10]BBC News, last modified: 16 April 2008, “Ahmadinejad: 9/11 'suspect event”, accessed July 2, 2025 http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/7350830.stm

[11] Riedel, Kings and Presidents, 152.

[12] William J. Burns, The Back Channel, A memoir of American Diplomacy and the Case of its Renewal (New York: Random House, 2019), 305-306.

[13] Riedel, Kings and Presidents, 160-164.

ასევე, უკმაყოფილო იყო, რომ პროცესი მისგან ფარულად და მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში შეინიშნებოდა საუდელების დაახლოება ისრაელთანაც კი, რომელთანაც იზიარებდა ირანის წინააღმდეგობას. ვაშინგტონთან გაფუჭებული ურთიერთობის დემონსტრირებას ემსახურებოდა ისიც, რომ 2015 წელს საუდის არაბეთი არ დაესწრო აშშ-ისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების კემპ დევიდის შეხვედრას. თუმცა, ერ-რიადს სჭირდებოდა აშშ-თან მოკავშირეობა, მათ შორის მისი მხარდაჭერა იემენში დაწყებული სამხედრო კამპანიისთვის, რომელიც სულ უფრო რთული და უტოპიური ხდებოდა. ამასთან, საკითხი უკვე ეხებოდა არა რეგიონულ გავლენას, არამედ უშუალოდ სამეფოს ტერიტორიის უსაფრთხოებას.

„არაბული გაზაფხულის“ ტალღისა და ტერორიზმის გაძლიერების შედეგად დასუსტებულ სირიაში მოქმედი რეჟიმის დასახმარებლად რუსეთის სამხედრო ჩართვის შედეგად, ბაშარ ასადმა შეინარჩუნა ხელისუფლება, შესაბამისად ერაყისა და ლიბანის შემდეგ, ირანის გავლენები ნარჩუნდებოდა სირიაშიც. მალე ამ ქვეყნებს იემენიც შეემატა. 2015 წელს იემენში პრო-ირანულმა ჰუთიების მოძრაობამ დაიკავა დედაქალაქი სანა და საუდის არაბეთის მოკავშირე ხელისუფლება იემენში დაამხეს.[14] ირანს უკვე საყრდენი ჰქონდა უშუალოდ არაბეთის ნახევარკუნძულზეც, საუდის არაბეთის მოსაზღვრედ. ეს რეგიონულ გავლენებში ძალთა ბალანსის ირანის სასარგებლოდ განვითარებას ნიშნავდა. ირანი აქტიურად ავრცელებდა პროპაგანდას, რომ უკვე 4 არაბული დედაქალაქი - ბეირუთი, დამასკო, ბაღდადი და სანა ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმავე წელს საუდის არაბეთმა ჩამოაყალიბა არაბული კოალიცია და 2015 წლის მარტში თავდაცვის მინისტრის მუჰამედ ბინ სალმანის პირადი ხელმძღვანელობით დაიწყო სამხედრო ინტერვენცია იემენში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მისი მოკავშირე მანსურ ჰადის მთავრობის ხელისუფლებაში დაბრუნება. საპასუხოდ იემენელმა ჰუთიებმა დაიწყეს საუდის არაბეთის მოსაზღვრე ქალაქების დაბომბვა სარაკეტო იერიშებით.

2016 წელს ირანსა და საუდის არაბეთს შორის უთანხმოებას ურთიერთობების გაწყვეტა მოჰყვა. საუდის არაბეთმა ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდებით 47 ადამიანი სიკვდილით დასაჯა. მათ შორის იყო შიიტი რელიგიური მოღვაწე ნიმრ ალ-ნიმრი, რომელიც გამოირჩეოდა მმართველი ალ-საუდების კრიტიკით. სასულიერო პირის სიკვდილით დასჯას პროტესტი მოჰყვა შიიტ მორწმუნეებში, მათ შორის ირანში. დემონსტრანტები თავს დაესხნენ საუდის არაბეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოფიციალურად დაგმეს საელჩოსა და საკონსულოსთან დაკავშირებული ინციდენტი, საუდის არაბეთმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ განაცხადა და ირანელ დიპლომატებს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. [15]

---

[14]Washington Institute, „Yemen War Heats Up Iran’s Anti-Saudi Rhetoric,“ last modified: May 18, 2015,
https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/yemen-war-heats-up-irans-anti-saudi-rhetoric

[15] Independent: “Saudi Arabia executions: Riyadh expels Iranian diplomats amid rising Shia and Sunni tensions as protests erupt across the Middle East”, last modified: 03 January 2016.

ახლო აღმოსავლეთში რეგიონული გავლენისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირსპირებაზე გავლენა ჰქონდა აშშ-ის შემდგომი ადმინისტრაციის ცვლილებასაც. დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ საპრეზიდენტო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა ირანთან მიმართებაში მისი წინამორბედისგან განსხვავებული იქნებოდა. ის ღიად აკრიტიკებდა ირანთან მიღწეულ „ბირთვულ შეთანხმებას“ და მას „საშინელს“ უწოდებდა. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) დასკვნებით, ირანი შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებდა, 2018 წელს ტრამპმა შეთანხების დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. მოგვიანებით, განაცხადა ე.წ. „მეორადი სანქციების“ მიღების შესახებაც, რაც ირანთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას უკრძალავდა მესამე ქვეყნებსაც. შეთანხმებაში კვლავ რჩებოდნენ გარიგების დანარჩენი წევრები, თუმცა, ევროპულმა მსხვილმა კომპანიებმა, რომლებსაც უკვე გაფორმებული ჰქონდათ ირანთან ხელშეკრულებები, ამერიკული სანქციების საფრთხის გამო თეირანთან თანამშრომლობა შეაჩერეს. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ირანის ეკონომიკას. რეცესია თავდაპირველად ძირითადად აისახებოდა ქვეყის შიგნით, მოსახლეობაზე, საგარეო პოლიტიკის კუთხით ირანის მიერ ლიბანში, ერაყში და სირიაში მოკავშირე ფორმირებების მხარდაჭერა კვლავ გრძელდებოდა. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ირანთან დაპირისპირების ესკალაციის შემდეგი ეტაპი იყო თავდასხმები მესამე ქვეყნების ტერიტორიებზე. 2018 წელს წითელ ზღვაში, ალ-ჰოდეიდას პორტთან საუდის არაბეთის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერზე თავდასხმა განახორციელეს ირანის მოკავშირე ჰუთიებმა, რის შემდეგაც საუდის არაბეთმა ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ბაბ-ელ-მანდების სრუტის გამოყენება შეწყვიტა. ჰუთიების მიერ საუდის არაბეთის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები გრძელდებოდა. 2019 წელს მათ იერიში მიიტანეს აბჰას და ნაჯრანის აეროპორტებზე, თუმცა ყველაზე მასშტაბურ შეტევას წარმოადგენდა სამეფოს აღმოსავლეთით მდებარე 2 მთავარ ნავთობ ობიექტზე - აბქაიქსა და ხურაისზე განხორციელებული თავდასხმა.[16] მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღეს ჰუთიებმა, თუმცა რეგიონის იემენიდან სიშორიდან გამომდინარე იყო ეჭვი, რომ იერიში თავად ირანმა განახორციელა.[17]

ტრამპის ანტი-ირანული პოლიტიკა, ეკონომიკური ზეწოლით შიიტური რეჟიმის შეკავების გარდა, ასევე, გულისხმობდა თეირანის მოკავშირე ჯგუფების დასუსტებასაც. ამის გამოძახილი იყო თავდასხმები სირიასა და ერაყში შიიტურ გასამხედროებულ ჯგუფებზე. ამ დაპირისპირების კულმინაციას წარმოადგენდა 2020 წელს ერაყში ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ (IRGC)

---

https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/saudi-arabia-executions-shia-and-sunni-tensions-on-the-rise-as-protests-erupt-across-the-middle-east-a6795021.html

[16] Aljazeera, “Timeline: Houthis’ drone and missile attacks on Saudi targets”, last modified September 14, 2019
https://www.aljazeera.com/news/2019/9/14/timeline-houthis-drone-and-missile-attacks-on-saudi-targets

[17] BBC, “Saudi oil attacks: Drones and missiles launched from Iran - US”, last modified September, 2019
https://www.bbc.com/news/world-middle-east-49733558

საგარეო ოპერაციების დანაყოფის - ყუდსის ხელმძღვანელის ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაცია ამერიკელების მიერ. საპასუხოდ, ირანმა იერიში განახორციელა ერაყში ამერიკულ სამხედრო ბაზებზე. თუმცა, ოპერაციის მასშტაბები და შედეგები მიუთითებდა, რომ მას ჰქონდა იმიჯის შენარჩუნების დანიშნულება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. ტრამპის ხისტი მიდგომისა და უკონტროლო ვითარების რისკის გათვალისწინებით, თეირანი თავს იკავებდა შემდგომი ესკალაციისაგან.[18]

ექსპერტთა წრეებში გავრცელებული მოსაზრებით, ირანის წინააღმდეგ „მაქსიმალური ზეწოლის“ პოლიტიკაში ტრამპი ისრაელმა დაარწმუნა, რაშიც დიდი როლი ითამაშა პიროვნულმა კავშირებმა. მათ შორის, ტრამპის სიძეს, რომელიც მან მთავარ მრჩევლად დანიშნა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, ახლო მეგობრული კავშირები ჰქონდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან. სხვა ვერსიით, ახალი ადმინისტრაციის მკვეთრად ანტი-ირანული პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საუდის არაბეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს ტრამპთან დაახლოებული პირი ელიოტ ბროიდი და მისი ბიზნესპარტნიორი, ლიბანელ-ამერიკელი ჯორჯ ნადერი.[19]

ირანის მიმართ აშშ-ის მაქსიმალური ზეწოლის პოლიტიკის პარალელურად, აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ტრამპის ინაგურაციიდან მალევე შესამჩნევი გახდა. ტრამპის პირველი ოფიციალური ვიზიტი პრეზიდენტის რანგში საუდის არაბეთში შედგა, რაც მიანიშნებდა ახალი ადმინისტრაციის სტრატეგიის ცვლილებაზე. 2017 წლის მაისში ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ჯამში 110 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის სამხედრო შეთანხმებებს.[20] რაც მთავარია, მხარეები იზიარებდნენ ხედვას ირანის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ერთობლივი ძალისხმევით უნდა მომხდარიყო ირანის რეგიონული დამაზიანებელი აქტივობის და ბირთვული პროგრამის შეკავება. გაჟღერდა „ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის“ (NATO) მსგავსი გაერთიანების შექმნის იდეა - „ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული ალიანსის“ (MESA) შექმნის შესახებ.

ორი ქვეყნის ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობდა პერსონალიების ფაქტორი. ტრამპი მხარს უჭერდა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრეს და ქვეყნის დე-ფაქტო მმართველს მუჰამედ ბინ სალმანს, რამაც მას აქტიური და თავისუფალი პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. 2017 წელს საუდის არაბეთის მეფემ მოულოდნელად შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის გადაცემის წესი და მოქმედი

---

[18] New Arab, “Operation Martyr Soleimani': Iran's missile strike against US in Iraq was more symbolic than lethal”, last modified January 9, 2020.
https://www.newarab.com/analysis/irans-missile-strike-against-us-iraq-was-symbolic

[19] The New York Times: "How 2 Gulf Monarchies Sought to Influence the White House, last modified March 21, 2018
https://www.nytimes.com/2018/03/21/us/politics/george-nader-elliott-broidy-uae-saudi-arabia-white-house-influence.html?mtrref=undefined&auth=login-email

[20] Washington Institute, “U.S.-Saudi Security Cooperation (Part 1): Conditioning Arms Sales to Build Leverage,” The Washington Institute for Near East Policy (2018), accessed August 25, 2025.
https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/us-saudi-security-cooperation-part-1-conditioning-arms-sales-build-leverage?utm_source=chatgpt.com

კრონ-პრინცის ნაცვლად, მემკვიდრედ საკუთარი ვაჟი გამოაცხადა. მუჰამედ ბინ სალმანს მემკვიდრეობა იმავე დღეს მიულოცა აშშ-ის პრეზიდენტმა. მოგვიანებით, ტრამპმა ასევე მხარი დაუჭირა ბინ სალმანის მიერ ქვეყანაში დაწყებულ ანტიკორუფციულ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც სამეფოს ასობით მდიდარი და გავლენიანი პირი სასტუმრო „The Ritz-Carlton"-ში დააკავეს. დაკავებულების ვინაობამ გააჩინა ეჭვი, რომ კამპანიის რეალურ მიზანს ბინ სალმანის ძალაუფლების კონსოლიდაცია და მისდამი ოპოზიციურად განწყობილი სამეფოს წევრების განეიტრალება წარმოადგენდა.[21]

პიროვნული ფაქტორის გავლენაზე მიანიშნებდა, ასევე, კატარის ბლოკადაც. 2017 წლის 5 ივნისს საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა კატარი საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს, დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს, საზღვრები ჩაკეტეს და ერთ დროს მოკავშირე სახელმწიფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქციეს. ბლოკადის მოსახსნელად ერ-რიადმა დოჰას 13 წინაპირობა წაუყენა, რომელთაგან ერთ-ერთი ირანთან ურთიერთობის გაწყვეტა იყო. საუდის არაბეთის გადაწყვეტილებაზე არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ ვაშინგტონში, რომლისთვისაც დოჰა მნიშვნელოვან მოკავშირეს წარმოადგენდა რეგიონში. კატარის ბლოკადის გადაწყვეტილებას აშშ-ში პირველი ტრამპი გამოეხმაურა. მან მხარი დაუჭირა საუდის არაბეთის გადაწყვეტილებას. პრეზიდენტის განცხადებას მალევე მოჰყვა პენტაგონის ოფიციალური განცხადება, რომელიც წინააღმდეგობაში იყო ტრამპის პოზიციასთან და გამოხატავდა კატარის მხარდაჭერას. მალევე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა კატარის საგარეო საქმეთა მინისტრთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ და ცალსახად აფიქსირებდა შექმნილ ვითარებაში აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას.[22]

ჩიხში შედიოდა საუდის არაბეთის სამხედრო კამპანია იემენშიც. საჰაერო იერიშების შედეგად მშვიდობიან მოქალაქეებში მზარდი მსხვერპლის გამო ძლიერდებოდა საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკა არაბული კოალიციის მიმართ. ხოლო 2018 წელს თურქეთში საუდის არაბეთის საკონსულოში ოპოზიციურად განწყობილი საუდელი ჟურნალისტის ჯემალ ხაშოგჯის მკვლელობამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამეფოს და ტახტის მემკვიდრის იმიჯი. შედეგად, ახალ ადმინისტრაციაში საუდის არაბეთის მიმართ გამოცხადებული მხარდაჭერის მიუხედავად, ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა ჩავარდნებმა ხელი შეუშალა სამეფოს, რომ ირანზე გაძლიერებული ზეწოლის პირობებში, რეგიონული დომინანტობისთვის დაპირისპირებაში გამოკვეთილი უპირატესობა მიეღო. 2019 წელს პრო-ირანული ძალების მიერ საუდის არაბეთის აღმოსავლეთით მნიშვნელოვან ნავთობ ობიექტებზე განხორციელებული იერიშის შემდეგ, სამეფოს ასევე მიადგა მნიშნელოვანი ზიანი. აშშ-ს, ვითარების შემდგომი ესკალაციის

---

[21] Economist, "The world should push the crown prince to reform Saudi Arabia, not wreck it", last modified November 9, 2017.
https://www.economist.com/leaders/2017/11/09/the-world-should-push-the-crown-prince-to-reform-saudi-arabia-not-wreck-it

[22] Abdullah Baabood. „The Future of the GCC Amid the Gulf," in Divide Divided Gulf, The Anatomy of a Crisis, ed. Andrea Krieg. (Singapore: Palgrave Macmilan, 2019), 162-163.

თავიდან არიდების მიზნით, არ მიუღია საპასუხო ზომები, რამაც საუდელების იმედგაცრუება გამოიწვია. აუცილებელი იყო ტაქტიკის შეცვლა, რაც გულისხმობდა ირანთან მიმართებაში პოლიტიკის შეცვლასაც.[23]

2020 წელს აშშ-ის შუამავლობით ისრაელმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა ხელი მოაწერეს „აბრაამის შეთანხმებას", რომელიც გულისხმობდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. შეთანხმების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთო საფრთხეების, მათ შორის ირანის წინააღმდეგ ძალისხმევის გაერთიანება. აშშ-ის მოწოდების მიუხედავად შეთანხმებას არ შეუერთდა საუდის არაბეთი. ისრაელთან თანამშრომლობის ღიად და ოფიციალურად დეკლარირება ნეგატიურად აისახებოდა არაბულ სამეფოზე, როგორც ისლამური სამყაროს ლიდერზე, განსაკუთრებით პალესტინის საკითხის ფონზე.[24]

ირანთან მიმართებაში სტრატეგიის გადაფასების აუცილებლობაში საუდის არაბეთში მომდევნო ადმინისტრაციის პირობებში კიდევ უფრო დარწმუნდნენ. ჯო ბაიდენმა შეცვალა სტრატეგია, როგორც საუდის არაბეთთან, ისე ირანთან მიმართებაში. 2021-2024 წლებში ადმინისტრაციაში საკვანძო პოზიციებზე დაინიშნენ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ 2013 წლიდან ომანში ირანთან საიდუმლო მოლაპარაკებებში „ბირთვული შეთანხმების" მისაღწევად.[25] უილიამ ბერნსი ხელმძღვანელობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, ხოლო ჯეიკ სალივანი გახდა პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. ახალი ადმინისტრაციის მუშაობის საწყის ეტაპზევე აშშ-მა ირანთან „ბირთვულ შეთანხმებაში" დაბრუნების მზაობის შესახებ განაცხადა. თუმცა, არსებობდა რიგი საკითხები, რაზეც მხარეები შეთანხმებას ვერ ახერხებდნენ. ირანის მოითხოვდა მის წინააღმდეგ მოქმედი ყველა სანქციის ანულირებას და სამომავლოდ, ახალი შეთანხმებიდან აშშ-ის გაუსვლელობის გარანტიებს. ვაშინგტონი მოითხოვდა ირანის მიერ სარაკეტო პროგრამისა და რეგიონში შიიტური ფორმირებების მხარდაჭერის შეწყვეტას. ვენაში მიმდინარე ხანგრძლივი მოლაპარაკებები საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა. ირანმა ურანის გამდიდრების შესახებ განაცხადა, საპასუხოდ, აშშ-მა მას მორიგი სანქციები დაუწესა.

აშშ-ის სტრატეგიის ცვლილება შეეხო საუდის არაბეთსაც. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო კანდიდატობის დროს ბაიდენს ჰქონდა ღიად კრიტიკული პოზიცია საუდის არაბეთის მიმართ, ჟურნალისტ ჯ, ხაშოგჯის მკვლელობის და იემენის ომის გამო. ახალი ადმინისტრაციის მუშაობის საწყის ეტაპზე აშშ-მა საუდის არაბეთთან შეაჩერა სამხედრო გაყიდვები. ბაიდენმა შეაჩერა იემენში საუდის არაბეთის

---

[23], Middle East Institute, "A different Middle East: How should Washington respond? "January 7, 2025
https://www.mei.edu/publications/different-middle-east-how-should-washington-respond?utm_source=chatgpt.com

[24] Robert Mogielnicki, The Elusive Saudi-Israeli Normalization Deal: Why an Agreement is Likely to Fall Short of Expectations, (2025)
https://www.thecairoreview.com/essays/the-elusive-saudi-israeli-normalization-deal/#:~:text=The%20Gaza%20Predicament&text=Indeed%2C%20international%20affairs%20expert%20F,East%20Jerusalem%20as%20its%20capital.

[25] Burns, The back Chanell, 263-266.

ხელმძღვანელობით მოქმედი სამხედრო კამპანიის მხარდაჭერაც და იემენელი ჰუთიები ტერორისტების სიიდან ამოიღო. თუმცა, თუმცა ეს არ ნიშნავდა მოკავშირეობის შეჩერებას. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში გრძელდებოდა. 2022 წელს რფ-უკრაინის ომს მოჰყვა ნავთობის ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე. შექმნილ რთულ ვითარებაში ბაიდენის ადმინისტრაციას უნდა აერჩია პრაგმატული პოლიტიკა და შეეცვალა მიდგომა არაბული სამეფოს მიმართ. იმავე წელს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ერ-რიადს ეწვია. პრეზიდენტმა დაადასტურა საუდის არაბეთისთვის თავდაცვითი სარაკეტო სისტემების მიყიდვის ნებართვა. აღნიშულმა ხელი შუეწყო ურთიერთობის ნორმალიზებას, თუმცა საუდის არაბეთს უკვე დაწყებული ჰქონდა სხვა საგარეო აქტორებთან თანამშრომლობის დივერსიფიცირების პოლიტიკა, რაც გულისხმობდა დომინანტურად აშშ-თან პარტნიორობის ნაცვლად, რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობების აწყობასაც. ერ-რიადის ახალი მიდგომა ასევე ეხებოდა ირანსაც და აქცენტს აკეთებდა მასთან ურთიერთობის დაბალანსებაზე. შედეგად, 2023 წელს, ჩინეთის შუამავლობით, საუდის არაბეთმა და ირანმა პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს ურთიერთობების ნორმალიზებას და დიპლომატიური კავშირების აღდგენას.[26]

იმავე სტრატეგიის ფარგლებში საუდის არაბეთმა მიიღო გადაწყვეტილება ბაშარ ასადის სირიასთან ურთიერთობის აღდგენაზე. 2023 წელს მხარეებმა დიპლომატიური ურთიერთობების განახლების შესახებ განაცხადეს, რომელიც გაწყვეტილი იყო ორი ათეული წელი. იმავე წელს ბაშარ ასადი მიწვეულ იქნა ქ. ჯედდაში არაბული ლიგის სამიტზე, სადაც შეხვდა მუჰამედ ბინ სალმანს.[27] ხოლო, 2024 წლის დეკემბერში ბაშარ ასადის ქვეყნიდან გაქცევისა და ხელისუფელბაში აჰმად ალ-შარაას მოსვლამ საუდის არაბეთს მისცა შესაძლებლობა, რომ ახალ საფეხურზე აეყვანა სირიასთან კავშირები. როგორც ირანთან, ისე ასადის სირიასთან ურთიერთობების ნორმალიზებას ჰქონდა პრაგმატული გათვლა საუდის არაბეთისთვის - ორივე რეჟიმთან არამტრული დამოკიდებულება ნიშნავდა თავის დაზღვევას პირდაპირი საფრთხისგან. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, დიპლომატიაზე ორიენტირებული სტრატეგია გაცილებით წარმატებული გამოდგა, რადგან ეკონომიკური ზეწოლისა და რეგიონში განვითარებული მოვლენების შედეგად, ბუნებრივად ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებაში ძალთა ბალანსი იცვლებოდა საუდის არაბეთის სასარგებლოდ.

ბაიდენის მიერ ირანთან მიმართებაში შედარებით რბილი მიდგომის მიუხედავად, შიიტური რეჟიმის გავლენები თანდათან სუსტდებოდა რეგიონში. წლების განმავლობაში აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციის პირობებში ირანის წინააღმდეგ მოქმედმა სანქციებმა მნიშვნელოვანად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკა. ჩინეთისა და რუსეთის მიმართულებით სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების

[26] Heritage, "Saudi-Iran Deal: China Fills a Middle East Vacuum Left by the Biden Administration", last modified: March 24, 2023
https://www.heritage.org/global-politics/commentary/saudi-iran-deal-china-fills-middle-east-vacuum-left-the-biden?utm_source=chatgpt.com

[27] Arab Center Washington DC, "Saudi Arabia and the New Syria: Constructive Pragmatism?" last modified: August 7, 2025
https://arabcenterdc.org/resource/saudi-arabia-and-the-new-syria-constructive-pragmatism/

გადაწყობის მიუხედავად, შიიტურ რეჟიმს სულ უფრო უჭირდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მისი მოკავშირე ძალების მხარდაჭერა და შესაბამისად გავლენების შენარჩუნება. აღნიშნულს დაემატა ისრაელის მიერ ირანის წინააღმდეგ განხორციელებული მასშტაბური და რეზონანსული ოპერაციები. აშშ უშუალოდ ამ პროცესებში არ მონაწილეობდა, მაგრამ მისმა ნეიტრალურმა პოზიციამ ისრაელს საშუალება მისცა, რომ ეტაპობრივად და წარმატებით განეხორციელებინა ირანის შემაკავებელი ღონისძიებები. 2024 წელს ისრაელის ოპერაციისა და შემდგომ უკვე იერიშების შედეგად ცალსახა ზიანი მიადგა ირანის მოკავშირე „ჰეზბოლას“ ლიბანში, როდესაც პეიჯერების აფეთქებით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ორგანიზაციას ადამიანური რესურსის მხრივ, ხოლო შემდეგ დაჯგუფების ლიდერი ჰასანა ნასრალა და სხვა ხელმძღვანელები გაანადგურა საჰაერო იერიშის შედეგად.[28] მოგვიანებით, სამხრეთ ლიბანში განხორციელებული სახმელეთო ოპერაციის შედეგად კი, ფაქტობრივად გაანეიტრალა „ჰეზბოლას“ სამხედრო ინფრასტრუქტურა.[29]

ტრამპის მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევა თავიდანვე მიანიშნებდა ახლო აღმოსავლეთში და კერძოდ, ირანსა და საუდის არაბეთთან მიმართებაში მისი ადმინისტრაციის სტრატეგიას. 2025 წელს აშშ-ის პრეზიდენტის რანგში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი კვლავ საუდის არაბეთში შედგა, რომლის ფარგლებში ცნობილი გახდა საუდის არაბეთის მიერ აშშ-ში 600 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელების გეგმის შესახებ.[30] პირველი ვადის მსგავსად, ახალმა ადმინისტრაციამ ირანის წინააღმდეგ განაახლა „მაქსიმალური ზეწოლის“ კამპანია და ახალი სანქციები დაუწესა თეირანს. თუმცა, 2017-2020 წლებისგან განსხვავებით, აღნიშნულ კამპანიაში პირდაპირი და აქტიური ჩართულობის ნაცვლად საუდის არაბეთს აქცენტი ირანთან დიპლომატიური და ზომიერი მიდგომის შენარჩუნებაზე ჰქონდა. მითუფრო, რომ რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა ბუნებრივად დაასუსტა ირანის გავლენები.[31] 2025 წლის მარტში აშშ-მა განახორციელა საჰაერო იერიშები ირანის მოკავშირე ჰუთიების წინააღმდეგ იემენში. ხოლო ივნისში ისრაელის პირდაპირმა თავდასხმამ ირანის წინააღმდეგ კიდევ უფრო დაასუსტა შიიტური რეჟიმი.

სირიაში ირანის-მოკავშირე ასადის რეჟიმის დამხობისა და ახალი ძალის მოსვლის შემდეგ, ერ-რიადი აქტიურად ჩაერთო ახალ მთავრობასთან

---

[28] APNEWS: “Hezbollah confirms its leader Hassan Nasrallah was killed in an Israeli airstrike”, last modified: September 29, 2024
https://apnews.com/article/lebanon-israel-hezbollah-airstrikes-28-september-2024-c4751957433ff944c4eb06027885a973

[29] Economist: “Israel and Hizbullah strike a fragile deal to end their war,” last modified: Nov 26th 2024.
https://www.economist.com/middle-east-and-africa/2024/11/26/israel-and-hizbullah-strike-a-fragile-deal-to-end-their-war

[30] “Fact Sheet: President Donald J. Trump Secures Historic $600 Billion Investment Commitment in Saudi Arabia” last modified: May 13, 2025
https://www.whitehouse.gov/fact-sheets/2025/05/fact-sheet-president-donald-j-trump-secures-historic-600-billion-investment-commitment-in-saudi-arabia/

[31] Time, “Why Trump and the Saudis Are Cozying Up,”last modified: May 12, 2025
https://time.com/7284797/trump-middle-east-saudi-trip/?utm_source=chatgpt.com

ურთიერთობაში. საუდის არაბეთმა, კატართან ერთად, დაფარა დამასკოს დაახლოებით 15 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დავალიანება მსოფლიო ბანკში. ალ-შარაას პირველი ოფიციალური ვიზიტი სირიის პრეზიდენტის რანგში სწორედ ერ-რიადში შედგა. ხოლო საუდელი ბიზნეს-დელეგაციის სირიაში ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს 6 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის შეთანხმებებს.[32] საუდის არაბეთის შუამავლობით შედგა ასევე ა. ალ-შარაას შეხვედრა დონალდ ტრამპთან, ამ უკანასკნელის ერ-რიადში ვიზიტის დროს 2025 წელს. ხოლო, ლიბანში "ჰეზბოლას" დასუსტებამ საუდის არაბეთს სტრატეგიული გადატვირთვის საშუალება მისცა. 2025 წლის იანვარში, 2-წლიანი კრიზისის შემდეგ, საუდის რაბეთის შუამავლობით მოხერხდა ლიბანის პრეზიდენტის არჩევა. ჯოზეფ ოუნის პირველი ვიზიტიც ერ-რიადში შედგა. საუდის არაბეთისა და შშ-ის ერთობლივი ძალისხმევით, ლიბანის მთავრობაში დაიწყო დისკუსია „ჰეზბოლას" განიარაღების და ქვეყნის არმიის გაძლიერებაზე.[33] წლების განმავლობაში ირანის გავლენის გამო ლიბანიდან დისტანცირების შემდეგ, საუდის არაბეთისთვის გაჩნდა შესაძლებლობა რომ ჩაერთოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებული ლიბანის აღდგენაში და შესაბამისად, რეგიონში გავლენისთვის ირანთან დაპირისპირებაში მოიპოვოს უპირატესობა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერი სახელმწიფოს პოზიციისთვის ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირებამ 2003 წლიდან დღემდე რამდენჯერმე შიეცვალა ტრაქეტორია. რეგიონული გავლენისთვის ძალთა ბალანსზე დიდი გავლენა იქონია აშშ-ის ცალკეული ადმინისტრაციების პოლიტიკამ. 2001-2009 წლებში, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პირობებში აშშ-მა ირანის მიმართ კონფრონტაციული პოზიცია დაიკავა, განსაკუთრებით 2003 წელს ერაყში შეჭრის შემდეგ. თუმცა სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებამ, ირიბად ხელი შეუწყო ირანის პოზიციების გაძლიერებას რეგიონში - ერაყში, სირიასა და ლიბანში. ამ ცვლილებამ დაარღვია ძალთა ტრადიციული ბალანსი. მომდევნო, 2009-2017 წლებში ბარაკ ობამამ შეცვალა სტარტეგია და აქცენტი დიპლომატიაზე გააკეთა, რის შედეგსაც წარმოადგენდა 2025 წელს ირანთან მიღწეული „ბირთვული შეთანხმება". სანქციებისგან და იზოლაციიდან ირანის გათავსუფლებით უკმაყოფილო იყო აშშ-ის მოკავშირე საუდის არაბეთი, რადგან ამან უპირატესობა შესძინა შიიტურ რეჟიმს რეგიონში პოზიციების გასამყარებლად. სირიასა და იემენში მოვლენები კვლავ ირანის სასარგებლოდ ვითარდებოდა. მდგომარეობა შეიცვალა აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ. 2017-2021 წლებში ტრამპის ადმინისტრაციამ ირანის წინააღმდეგ მაქსიმალური ზეწოლისკენ დაბრუნების შესახებ განაცხადა. 2018 წელს აშშ-მა დატოვა „ბირთვული შეთანხმება" და ირანის წინააღმდეგ სანქციები აღადგინა. პარალელურად

[32] Reuters, "Saudi business delegation arrives in Syria; deals worth $4 billion to $6 billion seen being signed" last modified: July 24, 2025
https://www.reuters.com/world/middle-east/saudi-business-delegation-arrives-syria-deals-worth-4-billion-6-billion-seen-2025-07-23/?utm_source=chatgpt.com

[33] The National News, "Saudi Arabia reasserts role in Lebanon amid international push for Hezbollah disarmament," last modified: July 9, 2025
https://www.thenationalnews.com/news/mena/2025/07/09/saudi-arabia-reasserts-role-in-lebanon-amid-international-push-for-hezbollah-disarmament/?utm_source=chatgpt.com

გამყარდა აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობები. ახალმა სტრატეგიამ გააძლიერა საუდის არაბეთის პოზიციები, თუმცა, მას, ასევე, თან სდევდა ესკალაციის საფრთხე უშალოდ საუდის არაბეთის ტერტორიაზე აღნიშნულს ადსატურებდა 2019 წელს მის აღმოსავლეთით ნავთობობიექტებზე განხორციელბული თავდასხმა. „მაქსიმალური ზეწოლის“ კამპანიის მიუხედავად, ირანმა რეგიონული „პროქსი ძალების“ საშუალებით შეინარჩუნა გავლენები. უკვე 2021 წლიდან, ბაიდენის ადმინისტრაციამ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკის ყურადღება დეესკალაციასა და დიპლომატიაზე გადაიტანა, რამაც საუდის არაბეთს ირანთან დამოკიდებულების შეცვლისკენ უბიძგა. კონკურენციის მიუხედავად, არჩევანი გაკეთდა ურთიერთობის ნორმალიზება, რასაც 2023 წელს, ჩინეთის შუამავლობით, მოჰყვა შეთანხმების გაფორმება შიიტურ რეჟიმთან. საუდის არაებთის ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდა. პირდაპირი კონფრონტაციის საფრთხის აღმოფხვრით და მეტოქეობის ნაწილობრივ დაბალანსების შემდეგ, რეგიონში განვითარბეულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ძალათა ბალანსის ცვლილებას. 2024 წლიდან ლიბანში „ჰეზბოლას“ ფაქტობრივად განეიტრალებისა და სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ირანის პოზიციები რეგიონში შესუსტდა, რაც ძალთა ბალანსში შესაძლოა გამოყენებულ იქნას საუდის არაბეთის სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა - References

1. სანიკიძე, გიორგი., ალასანია, გიული და გელოვანი, *ნანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.

2. “BBC News”, “Ahmadinejad: 9/11 'suspect event'” **l**ast modified: 16 April 2008 http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/7350830.stm
3. “Fact Sheet: President Donald J. Trump Secures Historic $600 Billion Investment Commitment in Saudi Arabia” last modified: May 13, 2025
4. “Saudi Arabia Establishes Gulf Cooperation Council”. Assessed August 1, 2025
5. “Saudi-Iran Deal: China Fills a Middle East Vacuum Left by the Biden Administration”, last modified: March 24, 2023 https://www.heritage.org/global-politics/commentary/saudi-iran-deal-china-fills-middle-east-vacuum-left-the-biden?utm_source=chatgpt.com
6. Aabood, Abdullah B. “The Future of the GCC Amid the Gulf.”, in Divide Divided Gulf, The Anatomy of a Crisis, edited by Andrea Krieg, 162-163. Singapore: Palgrave Macmilan, 2019.=
7. Aljazeera, “Timeline: Houthis’ drone and missile attacks on Saudi targets”, last modified September 14, 2019 https://www.aljazeera.com/news/2019/9/14/timeline-houthis-drone-and-missile-attacks-on-saudi-targets

8. Al-Qahtani, Fawz. “Continuity and changes in the United States’ Foreign policy towards the Gulf region after the events of September 11th, 2001. A Comparative Vision between the Bush and Obama Administrations”, Review of Economics and Political Science Vol 4 (2019): 2-19, accessed August 1, 2025. DOI: 10.1108/REPS-10.2018-006.
9. APNEWS: “Hezbollah confirms its leader Hassan Nasrallah was killed in an Israeli airstrike”, last modified: September 29, 2024 https://apnews.com/article/lebanon-israel-hezbollah-airstrikes-28-september-2024-c4751957433ff944c4eb06027885a973
10. Arab Center Washington DC, “Saudi Arabia and the New Syria: Constructive Pragmatism?” last modified: August 7, 2025
11. BBC, “Saudi oil attacks: Drones and missiles launched from Iran - US”, last modified September 2019 https://www.bbc.com/news/world-middle-east-49733558
12. Beeman, William O. *The “great Satan” vs. The “Mad Mullahs”: How the United States and Iran Demonize Each Other*. Westport, Praeger Publisher, 2005.
13. Burns, William J. The *Back Channel, A memoir of American Diplomacy and the Case of its Renewal,* New York: Random House, 2019.
14. Economist, “The world should push the crown prince to reform Saudi Arabia, not wreck it”, last modified November 9th, 2017.
15. Economist: “Israel and Hizbullah strike a fragile deal to end their war,” last modified: Nov 26th 2024. https://arabcenterdc.org/resource/saudi-arabia-and-the-new-syria-constructive-pragmatism/ https://time.com/7284797/trump-middle-east-saudi-trip/?utm_source=chatgpt.com
16. https://www.ebsco.com/research-starters/history/saudi-arabia-establishes-gulf-cooperation-council?utm_source=chatgpt.com.last modified 2023 https://www.economist.com/leaders/2017/11/09/the-world-should-push-the-crown-prince-to-reform-saudi-arabia-not-wreck-it https://www.economist.com/middle-east-and-africa/2024/11/26/israel-and-hizbullah-strike-a-fragile-deal-to-end-their-war
17. https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/saudi-arabia-executions-shia-and-sunni-tensions-on-the-rise-as-protests-erupt-across-the-middle-east-a6795021.html https://www.mei.edu/publications/different-middle-east-how-should-washington-respond?utm_source=chatgpt.com https://www.nytimes.com/2018/03/21/us/politics/george-nader-elliott-broidy-uae-saudi-arabia-white-house-influence.html?mtrref=undefined&auth=login-email https://www.reuters.com/world/middle-east/saudi-business-delegation-arrives-syria-deals-worth-4-billion-6-billion-seen-2025-07-23/?utm_source=chatgpt.com https://www.thecairoreview.com/essays/the-elusive-saudi-israeli-normalization-deal/#:~:text=The%20Gaza%20Predicament&text=Indeed%2C%20international%20affairs%20expert%20F,East%20Jerusalem%20as%20its%20capital.

https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/us-saudi-security-cooperation-part-1-conditioning-arms-sales-build-leverage?utm_source=chatgpt.com
https://www.whitehouse.gov/fact-sheets/2025/05/fact-sheet-president-donald-j-trump-secures-historic-600-billion-investment-commitment-in-saudi-arabia/

18. Martinez, David Hernandez. “The United States and Saudi Arabia alliance in the 21th century: The presidency of George Bush, Barack Obama and Donald Trump,” Journal of the Spanish Institute for Strategic Studies 15 (2020): 209-230.
19. Mebon, Simon. *The Struggle for Supremacy in the Middle East, Saudi Arabia and Iran*. Cambridge University Press: 2023.
20. Middle East Institute, “A different Middle East: How should Washington respond? “January 7, 202
21. Mogielnicki, Robert. The Elusive Saudi-Israeli Normalization Deal: Why an Agreement is Likely to Fall Short of Expectations, (2025)
22. New Arab, “'Operation Martyr Soleimani': Iran's missile strike against US in Iraq was more symbolic than lethal”, last modified January 9, 2020. https://www.newarab.com/analysis/irans-missile-strike-against-us-iraq-was-symbolic
23. Reuters, “Saudi business delegation arrives in Syria; deals worth $4 billion to $6 billion seen being signed” last modified: July 24, 2025
24. Riedel, Bruce. *Kings and Presidents, Saudi Arabia and United States since FDR* Washington: Brookings Institution Press, 2018.
25. Robinson, Kali. “What Is the Iran Nuclear Deal?” Council on Foreign Relations (2023), accessed July 25, 2025.
26. Saudi Arabia executions: Riyadh expels Iranian diplomats amid rising Shia and Sunni tensions as protests erupt across the Middle East, last modified: January 03, 2016.
27. The National News, “Saudi Arabia reasserts role in Lebanon amid international push for Hezbollah disarmament,” last modified: July 9, 2025 https://www.thenationalnews.com/news/mena/2025/07/09/saudi-arabia-reasserts-role-in-lebanon-amid-international-push-for-hezbollah-disarmament/?utm_source=chatgpt.com
28. The New York Times: "How 2 Gulf Monarchies Sought to Influence the White House, last modified March 21, 2018
29. Time, “Why Trump and the Saudis Are Cozying Up,” last modified: May 12, 2025
30. Washington Institute, “U.S.-Saudi Security Cooperation (Part 1): Conditioning Arms Sales to Build Leverage,” The Washington Institute for Near East Policy (2018), accessed, August 25, 2025.
31. Washington Institute, “Yemen War Heats Up Iran’s Anti-Saudi Rhetoric,” last modified: May 18, 2015, https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/yemen-war-heats-up-irans-anti-saudi-rhetoric